

ინტერვიუ ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედი ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის დირექტორთან არდა ინალ-იპასთან.

სააგენტო *JAMnews*-თან ინტერვიუში ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედი ჰუმანიტარული ცენტრის დირექტორმა და ე.წ. საზოგადოებრივი პალატის წევრმა არდა ინალ-იპამ ქალთა მიმართ ჩადენილი საშინელი დანაშაულების ზრდაზე ისაუბრა.

შეგახსენებთ, რომ დები ჯგამაზიების ტრაგიკული ისტორიის შესახებ, მიმდინარე წლის 12 ივნისს გახდა ცნობილი. თუმცა, ფაქტი, რომელმაც საზოგადოებრივი მოძრაობის ინიცირება მოახდინა, რამოდენიმე დღით ადრე მოხდა. საზოგადოებრივი მოძრაობის წევრები აპირებენ აიძულონ ხელისუფლება კარდინალურად შეცვალოს არსებული ვითარება დე-ფაქტო ძალოვან უწყებებში.

„გამოძიების წინასწარი მონაცემებით ცნობილია, რომ აუტიზმის დიაგნოზის მქონე 13 წლის გოგონა აფხაზეთის პრეზიდენტის დაცვის აწ უკვე ყოფილმა თანამშრომელმა, ასტამურ ჯოპუამ, სახლიდან ძალის გამოყენებით წაიყვანა და გააუპატიურა.

რამოდენიმე დღის შემდეგ, მოკლულ იქნა 13 წლის გოგონას უფროსი და, 22 წლის ანჟელა. მკვლელობის სავარაუდო მიზეზად ე.წ. „ღირსების მკვლელობა“ სახელდება. მკვლელი, ორივე გოგონს მამა-რუსლან ჯგამაზიაა, რომელზეც ძებნაა გამოცხადებული.

ასტამურ ჯოპუა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობაში, სამარტოო საკანში, იმყოფება და მას წინასწარი ორთვიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული.

ჯოპუების გავლენიანი გვარი ასტამურ ჯოპუას განუდგა. მათ საგვარეულო შეკრება მოაწყვეს და დაგმეს მისი საშინელი დანაშაული. ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმა ბრალდებულის ძმა, ალმას ჯოპუა, რომელიც ოპოზიციური პარტია „აინარის“ თავმჯდომარეა. ასტამურ ჯოპუას მამიდა, ტალი ჯოპუა, სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელის პოსტიდან გადადგა და მისი მეუღლე კი, აფხაზეთის შს მინისტრი ასლან კობახია არ წყვეტს შვებულებას და ამით ახდენს გამოძიებისგან დისტანცირებას.

პრეზიდენტმა გამოძიების მსვლელობა პირადი კონტროლის ქვეშ აიყვანა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, საზოგადოებრივი პროტესტი მატულობს, ბოლო დღეების მანძილზე იმართება მიტინგები.

კერძოდ, საზოგადოებრივი ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ჯოპუების გავლენიან ოჯახს მიუძღვის ბრალი უფროსი დის მკვლელობაში. ისინი ამტკიცებენ, მკვლელობის პროვოცირება სწორედ რომ ბრალდებულის ძმამ, პარტია „აინარის“ ლიდერმა, ალმას ჯოპუამ მოახდინა.

მკვლელობამდე ერთი დღით ადრე, დეპუტატი მოკლული გოგონს მამას, რუსლან ჯგამაზიას, შეხვდა და მოუწოდა მას, რომ „მიელო სათანადო ზომები“ ანჟელას მიმართ, რომელიც ამორალური ცხოვრების წესით ცხოვრობდა. ეს საუბარი ჩაწერილ იქნა ფირზე და შემდგომში წარდგენილ იქნა, თვითონ დეპუტატის მიერ, პარლამენტში.

ამ საუბრის შემდეგ მამამ თავისი ქალიშვილი იარადიდან გასროლით მოკლა.

ამ საშინელი ორი დანაშაულის კომენტარებისას, აფხაზეთის ჰუმანიტარული ცენტრის დირექტორმა აღნიშნა;

„მე უკვე 60 წლის ვარ და ქალთა, არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი საშინელი დანაშაულების ასეთი რაოდენობა არ მახსოვს. ასეთი რამ, არც ომამდე და არც ომის შემდეგ არ ხდებოდა. ეს რაღაც ახალია აფხაზეთში.

ზოგიერთს უნდა საზოგადოებას წარმოუდგინოს ეს ანგარიშსწორება, როგორც ტრადიციული ნორმებისადმი დაბრუნება, მაგრამ ეს სიცრუეა. ქალებზე ფიზიკური ძალადობა ყოველთვის სამარცხვინოდ თვლებოდა მამაკაცებისთვის. ე.წ. „სისხლის აღების“ წესის დროსაც კი, მოსისხლე ოჯახის წევრ ქალებს ხელს არ ახლებდნენ.

ლინჩის წესით გასამართლებაზე საზოგადოება გადადის მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელისუფლება მასზე დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებს. საზოგადოება არ ენდობა სამართალდამცავ სისტემას იმ დროს, როდესაც არ არის დანაშაულზე ადეკვატური რეაგირება.

ხელისუფლების მიერ, ამ პრობლემის არსებობის უარყოფა, ფორმალური, ზედაპირული რეაგირება და დამნაშავეების დაუსჯელობა ფაქტიურად აღიქმება ქალების მიმართ, შემდგომი ანგარიშსწორების წახალისებად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენ გვაქვს ლინჩის წესით მოკლული ქალების არც თუ ისე მცირე რაოდენობა.

მაგალითად შემიძლია მოვიყვანო საშინელი დანაშაული, რომელიც აფხაზურ სოფელში მოხდა. ერთი ოჯახის ორი რძალი ერთმანეთთან კონფლიქტში იმყოფებოდნენ. ერთერთმა, ნათესავეს მეორეს რძლის კუთვნილ ტელეფონში არსებული სატელეფონო მიმოწერა ანახა. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გოგო ჩამოეხრჩოთ.

აღნიშნული დანაშაული, ოჯახიდან სირცხვილის ჩამოსარეცხვის საბაბით, მოკლული გოგოს მამამ და ძმამ ჩაიდინეს. ნათესავეებმა ეს თვითმკვლელობად წარმოადგინეს. სამართალდამცავებმა კი, იკმარეს ეს ახსნა და დახურეს საქმე.

აფხაზეთის ქალთა ასოციაცია არაერთხელ ამახვილებდა ყურადღებას ამ პრობლემაზე, მართავდა მრგვალ მაგიდებს მიმართავდა სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ სათანადო რეაგირებას მაინც ვერ მიაღწია. პირიქით, ზოგიერთი ჩინოვნიკის მხრიდან გაისმის, რომ არანაირი ოჯახური ძალადობა აფხაზეთში არ არსებობს და ეს ყურით მოთრეული პრობლემა, დასავლური ღირებულებების გავრცელება და ვიდაცის პროექტების განხორციელების მცდელობაა.

სამწუხაროდ, ძალიან ბევრი დანაშაული არ მიდის სამართალდამცავ ორგანოებამდე. ხალხი არ წერს განცხადებას მილიციაში, როდესაც საქმე ოჯახს ეხება, მაგრამ ბოლო ორი წლის განმავლობაში, ის 6-7 საქმე, რომლის შესახებ ჩვენთვის გახდა ცნობილი მაიმც ძალიან დიდი მაჩვენებელია.....’

ამიტომაც, აფხაზეთის ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრი და მრავალი ჩვენი კოლეგა სამოქალაქო სექტორიდან ვთვლით, რომ დადგა დრო, სამართალდამცავ და სხვა სტრუქტურებში ჩაინერგოს საზოგადოებრივი საბჭოები, რათა მიღწეულ იქნას მათი საქმიანობის გამჭვირვალობა.

საჭიროა საზოგადოებრივი მონიტორინგი. ეს გზა მრავალმა ქვეყანამ გაიარა და უდავოა, რომ ეს მექანიზმები ეფექტურად მუშაობენ. იმ ქვეყნებში, სადაც სამართალდამცავ ორგანოებში ჩაინერგულ იქნა საზოგადოებრივი საბჭოები, დანაშაულის დონემ მკვეთრად დაიწია.....“

22.06.2017

ჟურნალისტი, ანაიდ გოგორიანი

ვრცლად ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე (<https://jam-news.net/?p=45621&lang=ru>)